ხელშეკრულება №41
შესყიდვის შესახებ

ქ. გორი 12 მარტი 2019 წელი

ერთის მხრივ, აა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი“ (ს/კ 417874973) (შემდგომში – „შემსყიდველი“), მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულრბრლი გია ისიანის სახით და მეორეს მხრივ შპს „აგროქართლი” (ს.კ218045764) მისი წარმომადგენელი გიორგი სიმონიშვილის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1.ხელშეკრულების საგანია ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი“-ს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით სასუქების, ნიტროგენული ნაერთების და პოლიეთილენის ტომრების შესყიდვა. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1.შესყიდვის ობიექტია

#	CPV კოდი	საქონლის დასახელება	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთ.ფასი	საქონლის ფასი
1	24410000	ამინომიუმის ნიტრატი მარკა ბ	კგ.	900	0.76	684.00
2	24410000	აზოტოვან ფოსფორ კალიუმიანი სასუქი) ნ.პ.კ. 10*26*26	კგ.	1000	1.244	1244.00
3	19640000	ტომარა პოლიპროპილენის კლაპნიანი	ცალი	20	0.80	16.00
4	24457000	ალტო სუპერი	ლიტრი	5	90.00	450.00
5	24457000	კვადრისი	ლიტრი	2	125.00	250.00
6	24453000	ურაგან ფორტე	ლიტრი	6	19.00	114.00
7	24453000	ფენიქს გორლდი	ლიტრი	6	11.00	66.00
					ჯამი:	2824.00

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1.შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში.
3.2.შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებაა 2824.00 (ორიათასრვაასოცდაოთხილარი) ლარი. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

41მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, მოახდინოს დროული მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში,ხოლო შემსყიდველი ვალდებულია დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2019 წლის 20 მარტის ჩათვლით.
5.2.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ.გორი, ცხინვალის გზატკეცილი 4.
5.3.შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

7.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
7.3.ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3. და 6.1. მუხლებში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდე.
7.4. ანაზღაურების ადგილია ქალაქი გორი.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:
–შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
8.2. შემსყიდველი ვალდებულია:
–მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
–უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.
8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
–მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
–მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.
–დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1.მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო 0.02%-ის ოდენობით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1.ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2019 წლის 31 აპრილის ჩათვლით.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის, შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

12. ფორს-მაჟორი

12.1.მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით,
როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
12.2.თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
12.3.მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1.ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
13.2.შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, შემოწმებას და მიღება-ჩაბარებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი“- ს შესყიდვების სპეციალისტი ავთანდილ ლობჟანიძე. ინსპექტირების მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან;

14.2..შემოწმების შედეგად გამოვლენილ ნებისმიერ ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით;
13.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის(ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის აღმოფხვრა, წუნდებული საქონლის შეცვლა .გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებულო ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
15.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
15.5.წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ა(ა)იპ ,,გორის მუნიციპალიტეტის	შპს ,,აგროქართლი“
ფეხბურთის კლუბი გორი”	მისამართი გორი ცხინვალის გზატკ. 4
მისამართი: გორი, გურამიშვილის ქ. № 5	საბანკო რეკვიზიტები სს ,,საქართველოს ბანკი“
საბანკო რეკვიზიტები: ბანკი-სახელმწიფო ხაზინა	ბ/კ BAGAGE22
ბ/კოდი TRESGE22	ანგ.GE71BG0000000595612900
ს/კ 417874973	ს/კ 218045764
დირექტორი გ.ისიანი	დირექტორი გ.სიმონიშვილი